



ევროკავშირი
საქართველოსთვის


Brot
für die Welt



CSR DG
საერთაშორისო სტანდარტული
კორპორატიული სოციალური
რესპონსივის დარგის განვითარების
საქართველოს ცენტრი

სურს¹⁰ს უვნებლობა და ჯანსაღი კვება:

რამდენიმე აქტუალური საკითხი



გენეტიკურად მოდიფიცირებული სურსათი



ალო... მანონი, გოგო!
მგონი, სავაჭრო ქსელში ბევრი
გენეტიკურად მოდიფიცირებული
სურსათი იყიდება!

გენეტიკურად
მოდიფიცირებული
(გმ)
სურსათი

დედა გოგო,
მავნეა ვითააბ?!

დაიცაა!

სურსათი იმ მცენარეებისა
და ცხოველებისაგან მზადდება,
რომელთა მოყვანასა და მოშენებას
აღამიანი ათასწლეულების
მანძილზე ახდენდა.


დროთა განმავლობაში,
აღამიანები სოფლის
მეურნეობისთვის იმ
მცენარეებსა და ცხოველებს
ირჩევდნენ, რომლებიც
ბუნებრივად ყველაზე
"სასურველ თვისებებს"
ავლენდნენ თავიანთ
გენეტიკურ
შემადგენლობაში.

დიადი
მოსავლიანობა?!

მავნებლებისადმი
მდგრადობა?!

ბოლო ხანებში, თანამედროვე ბიოტექნოლოგიის მეშვეობით, შესაძლებელი გახდა ცოცხალი უჯრედებისა და ორგანიზმების გენეტიკური შემადგენლობის შეცვლა (მოდიფიცირება). გენეტიკური მასალის მოდიფიცირება ხელოვნურად ხდება, მისთვის ახალი, სასურველი თვისებების მისაცემად.


ასეთ ორგანიზმებს
„გენეტიკურად
მოდიფიცირებულ
ორგანიზმებს“ (გმო)
უწოდებენ.



სურსათსა და ცხოველის საკვებს,
რომელიც გმო-ს შეიცავს,
ან გმო-სგან იწარმოება,
გენმოდიფიცირებული (გმ)
სურსათი ან ცხოველის საკვები
უწოდება.



გმ სურსათი ადამიანის მოხმარებისათვის
პირველად აშშ-ში 1994 წელს იქნა
დაშვებული.




≈ 90%



2014-2015 წლებისათვის აშშ-ში დათესილი სიმინდის, ბამბისა და სოიოს
დაახლოებით 90% გმ იყო, ხოლო მთელ მსოფლიოში გმ კულტურები 20-ზე მეტ
ქვეყანაში იყო გავრცელებული, ძირითადად, ამერიკის კონტინენტზე.


გმ სასოფლო-სამეურნეო კულტურებს შეუძლიათ მოსავლიანობის
მნიშვნელოვანი ზრდა, ზოგიერთ შემთხვევაში, მავნებლების წინააღმდეგ
უფრო მდგრადები არიან და ნაკლები აგროქიმიკატი სჭირდებათ.

სხვა გმ კულტურები, პირიქით, სარეველების
საწინააღმდეგო აგროქიმიკატებისადმი
მდგრადობის უზრუნველსაყოფად შეიქმნა,
ვინაიდან ასეთ ქიმიკატებს თავად
სასოფლო-სამეურნეო კულტურის
დაზიანებაც შეუძლია.



გმ სურსათის ერთ-ერთი ნიმუში -
ბრინჯის სპეციალური სახეობა
„ოქროს ბრინჯი“ იმისათვის შეიქმნა, რომ
ადამიანებში რკინის დეფიციტის დაძლევის
შეუწყოს ხელი, რაც კაცობრიობის 30%-
სათვის პრობლემას წარმოადგენს.

გარდა ამისა, სხვადასხვა გმ მცენარე იქმნება
ექსტრემალური ამინდისადმი გამძლეობის
უზრუნველსაყოფად.



პოტენციური სარგებლის მიუხედავად, გმო-სთან დაკავშირებულმა რისკებმა მეცნიერებში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ბევრი სკეპტიკოსი მიუთითებს იმ საფრთხეებზე, რომლებიც გმ პროდუქციამ შეიძლება ადამიანის ჯანმრთელობას შეუქმნას.



მომხმარებლის უფლებებისა და ჯანდაცვის სფეროში მომუშავე საზოგადოებრივი ჯგუფების უკმაყოფილების მიუხედავად, ჯერჯერობით, არცერთ ავტორიტეტულ სამეცნიერო კომისიას ადამიანის ჯანმრთელობისათვის გმ სურსათის მავნეობა არ დაუდასტურებია. თუმცა, კვლევები გრძელდება. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ ჯერჯერობით ნაადრევია გმ სურსათის ადამიანის ჯანმრთელობაზე გრძელვადიანი ზემოქმედების შეფასება.

მთელ რიგ ქვეყნებში, როგორიცაა კანადა, ჩინეთი, არგენტინა და ავსტრალია, გმ სურსათისადმი შეზღუდვები არ მოქმედებს.

თუმცა,

ბევრმა ქვეყანამ უარი თქვა გმ პროდუქტებზე, მათ შორის ევროკავშირის სახელმწიფოებიც იყვნენ. ევროკავშირის სურსათის უვნებლობის პოლიტიკა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რისკის პრევენციის პრინციპს. მასზე დაყრდნობით, 90-იან წლებში ზემოაღნიშნულ საფრთხეებს ევროკავშირმა გმ სასოფლო-სამეურნეო კულტურების იმპორტსა და გამოყენებაზე მორატორიუმის გამოცხადებით უპასუხა.

ამ აკრძალვამ აშშ-სთან სავაჭრო დავა გამოიწვია და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული. შედეგად, ევროკავშირმა გარკვეული გმ კულტურების იმპორტი დაუშვა.

თუმცა, გმ კულტურების მოყვანა ევროკავშირში თითქმის არ ხდება.



2000-იანი წლების დასაწყისში ევროკავშირში **გმო-სა და გმ სურსათის რეგულირების** მკაცრი სისტემა იქნა შემოღებული:

● გმ კულტურების მოყვანა და გმ სურსათის გაყიდვა აიკრძალა, შესაბამისი **ავტორიზაციის გარეშე**. ავტორიზაციის შედეგად კი უნდა დადასტურდეს, რომ გმ კულტურა, ან სურსათი ზიანს არ აყენებს ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოს, შეცდომაში არ შეჰყავს მომხმარებელი და სხვა.

● ყველა გმ სურსათსა და ცხოველის საკვებზე შესაბამისი აღნიშვნა უნდა იყოს დატანილი, იმ შემთხვევაში, თუ მათ შემადგენლობაში არსებული **გმ კომპონენტები საერთო წონის 0,9 %-ზე მეტია**.



გმ სურსათის შესაბამისი ეტიკეტირების ვალდებულება მოგვიანებით აშშ-შიც ამოქმედდა.



ითვლება, რომ ამაზე < ოდენობა შესაძლოა პროდუქტში, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, შემთხვევით აღმოჩნდეს, ან ტექნიკურად შეუძლებელი იყოს ამის თავიდან არიდება. ასე რომ, შესაძლოა, მომხმარებლები მცირე ოდენობით გმო პროდუქტებს მაინც იღებდნენ.

აი, ხომ ვთქვი - სულ ცინცხალი ონლაინ სიაა!



გარდა ამისა, აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტს შექმნილი აქვს **გმ** (ანუ, როგორც ის უწოდებს, ბიოინჟინერიით შექმნილი) სურსათის **განახლებადი ონლაინ სია**, რომლის გაცნობაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია და სადაც მთელი მსოფლიოს მასშტაბით ხელმისაწვდომი მონაცემებია თავმოყრილი.



ევროკავშირის მსგავსად, 2010-იან წლებში საქართველოში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა გმო-ს რეგულირებისათვის:

- აიკრძალა გმო-ს გარემოში ინტროდუქცია, ანუ გარემოში შეტანა და საბაზრო ქსელში განთავსება.
- ისევე, როგორც ევროკავშირში, საქართველოშიც დაწესდა, რომ გმ პროდუქტებზე წარწერა „გმო“ ან „გმ“ თვალსაჩინოდ იყოს მითითებული.
- გამკაცრდა გმო-სა და გმ პროდუქტების ეტიკეტირების კონტროლი.



2010-იან წლებში
საქართველოს სტრატეგიული
კვლევებისა და განვითარების
ცენტრმა საკმაოდ ბევრი
პროდუქტი გამოიკვლია გმო-ს
შემცველობაზე.



წლების მანძილზე, შესაბამისი აღნიშვნის გარეშე **გმ** სურსათის გაყიდვის
მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაა გამოვლენილი.




საქართველოში **გმ** სურსათის
სიმრავლის თაობაზე გავრცელებული
შეხედულება ფაქტებით **არ
დასტურდება**. თუმცა, ევროკომისიის
შეფასებით, გმო-სთან დაკავშირებით,
ევროკავშირის რეგულაციებთან
დაახლოების პროცესში, საქართველოს
მიერ მიღებული კანონმდებლობის
აღსრულება გამოწვევად რჩება.

ჩვენ, მომხმარებლებს რაც შეგვიძლია,
შეძლებისდაგვარად ყურადღებით უნდა
ვიყოთ სასურსათო ბაზარზე არსებულ
ნებისმიერ დადგენილ და


შესაძლო საფრთხესთან დაკავშირებით. პირველ ყოვლისა
კი ისეთ საფრთხეებზე, რომელთა მავნე ზემოქმედება
უტყუარია.

გმ სურსათს რაც შეეხება, ყველაზე მარტივი,
რასაც ნებისმიერი მოქალაქე შეიძლება დააკვირდეს,
არის **ეტიკეტი** - არის თუ არა მითითებული, რომ
სურსათი შეიცავს გმო-ს.



საკვებდანამატები

მედიასა, თუ სოციალურ ქსელებში არც თუ იშვიათად წააწყდებით ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ესა თუ ის სურსათი მავნე ან აკრძალულ საკვებდანამატებს შეიცავს, რომლებიც **E-ნომრების** სახითაა მითითებული.



საკვებდანამატები არის სურსათში დამატებული ისეთი ნივთიერებები, რომელთაც, როგორც წესი, კვებითი ღირებულება არ გააჩნიათ, მაგრამ სამაგიეროდ სურსათს სხვა მიმზიდველ თვისებებს ანიჭებენ:



მმმ, რა გემრიელია!

ფერს,


გემოს,

სუნს,

კონსისტენციას,



ბაქტერიებისადმი,
ან სხვა
ზემოქმედებისადმი
მდგრადობას და ა.შ.



საკვებდანამატებად არ მიიჩნევა ნივთიერებები, რომლებსაც სურსათის სპეციალურად უმატებენ კვებითი ღირებულების ასამაღლებლად (მაგალითად, ვიტამინები, მიკროელემენტები), ან რომლებიც შემთხვევით მოხვდა სურსათში (დამაბინძურებელი მავნე ნივთიერებები).



როგორც წესი, საკვებდანამატების გამოყენება **ნორმირებულია**, ანუ დადგენილია სურსათში ანუ თუ იმ საკვებდანამატის ზღვრული დამშვებული ოდენობა.


ევროკავშირსა და საქართველოში დამშვებული საკვებდანამატები

E

ნიშნით და რიგითი ნომრით აღინიშნება.



"E-ნომერი" ნივთიერებას მიენიჭება ევროპული თანამეგობრობის მიერ ("E" ნიშნავს ევროპას) და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ევროკომისიის სამეცნიერო კომიტეტს მიაჩნია, რომ მისი საკვებდანამატად გამოყენება უსაფრთხოა.




უსაფრთხოა



E 330

ამდენად თავისთავად E-ნომრის არსებობა უკვე **უსაფრთხოების გარანტიაა**. თუმცა, მეცნიერება ვითარდება. არის შემთხვევები, როდესაც ადრე დამშვებული საკვებდანამატი შემდგომში აიკრძალა. სწორედ ესენია **აკრძალული E-ნომრები**.

არის შემთხვევები, როდესაც მწარმოებელი არ უთითებს აკრძალული საკვებდანამატის E-ნომერს და, ნაცვლად ამისა, პროდუქტის ეტიკეტზე ნივთიერების ქიმიურ დასახელებას აწერს.



ალკანინი

$C_{12}H_9N_2NaO_5S$

E103



საქართველოში საკვებდანამატები რეგულირდება „საკვებდანამატების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“ და „საკვებდანამატების გამოყენების სანიტარული წესებითა და ნორმებით“, სადაც მოცემულია ის ნივთიერებები, რომლებიც საქართველოშია დაშვებული.



ევროკავშირში ამჟამად გამოსაყენებლად დაშვებული საკვებდანამატები და მათი გამოყენების პირობები ევროკომისიის (European Commission) ვებსაიტზეა განთავსებული.





საერთაშორისო დონეზე
შეთანხმებული
საკვებდანამატების ნუსხა
მოცემულია სურსათის
საერთაშორისო
სტანდარტების „კოდექს
ალიმენტარიუსის“
(Codex Alimentarius)
ვებსაიტზე.

ნუ
გეშინია,
მა!

მეკ.

სასურველია მივირთვათ
სურსათი, რომელიც
ნაკლებად შეიცავს
საკვებდანამატებს.

იუმკა,

გადამეტებული და
დაუსაბუთებელი შიშებიც
არ უნდა გვქონდეს.

საკვებდანამატია
საჭმლის
სოდა,
(E500)
რომელიც
ნამცხვრების
ცხობისას
ფართოდ
გამოიყენება.

საკვებდანამატებია
ძმრის მჟავა (E260) და ლიმონმჟავაც (E330),
რომლებსაც, განზავებული სახით, კერძების
მომზადებისას ხშირად ვიყენებთ.

იუმკა,

ცხადია, სჯობს ნატურალური
ძმარი და ლიმონის წვენი
გამოვიყენოთ.

ვიტამინები, მინერალები და სხვა სასურსათო დანამატები


სასურსათო ან დიეტური დანამატები დღეისათვის ფართოდაა გავრცელებული და ადვილად ხელმისაწვდომი.



მათ შვევდებით აფთიაქებში, სპეციალურ მაღაზიებში, ინტერნეტმაღაზიებში და სუპერმარკეტებშიც კი. გამოდის სხვადასხვა დოზებისა და კომბინაციების სასურსათო დანამატები.



ისინი შეიცავს ვიტამინებს, მინერალებს, ამინომჟავებს, ენზიმებს, მცენარეულ ექსტრაქტებს, რომლებიც მომხმარებელს მიეწოდება აბების, კაფსულების, ფხვნილების ან სითხეების სახით. განსაკუთრებით გავრცელებულია D ვიტამინი, კალციუმი, თევზის ზეთი და სხვა.



რა სარგებლობა მოაქვს სასურსათო დანამატებს?


სმენა იყოს და გაგონება!

სასურსათო დანამატები ისეთ ნივთიერებებს შეიცავს, რომლებსაც ადამიანი ჩვეულებრივი კვების დროს შესაძლოა საკმარისი ოდენობით ვერ იღებდეს. ზოგიერთ შემთხვევაში მათ შეიძლება დაავადებების რისკ-ფაქტორები შეამცირონ. ისინი შეიძლება გამოყენებული იყოს ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის შესანარჩუნებლად, გონების მუშაობის ან იმუნური სისტემის ხელშესაწყობად, ან სპორტული დატვირთვის გადასატანად. ისინი შეიძლება სასარგებლო იყოს ორსულებისათვის, ჩვილებისათვის, მოხუცებისათვის, ვეგანებისათვის და სხვა.



სასურსათო დანამატები
წამლები არ არის და კონკრეტული
დაავადებების სამკურნალოდ ან
პრევენციისათვის არ არის
გამიზნული.

ამაჟუ ჩიოს,




სასურსათო დანამატების უვნებლობა, უახლეს
მონაცემებზე დაყრდნობით, მეცნიერულად უნდა
იყოს დადგენილი. ამის საფუძველზე უნდა იყოს
შედგენილი მათი ეტიკეტები და ინსტრუქციები,
რომლებმაც მათ სწორ მოხმარებას უნდა შეუწყოს
ხელი. მაგალითად, ევროკავშირში სასურსათო
დანამატების ზემოქმედებას ევროპის
სურსათის უვნებლობის უწყება
(EFSA) შეისწავლის.



ბევრ სასურსათო
დანამატს
გამოყენების
ხანგრძლივი
ისტორია აქვს.

თუმცა,

ევროკავშირშიც კი
ზოგიერთი მათგანის
უვნებლობასა და
ხარისხზე გარკვეული
ეჭვები არსებობს.



მთავარ
პრობლემებად
მიჩნეულია ქიმიური
ან
მიკრობიოლოგიური
დაბინძურების
რისკები და
ბიოლოგიურად
აქტიური
ნივთიერებების
უსაფრთხო
ზღვრების
არსებობა.

უნა ვისოქო,

რომ სასურსათო დანამატები
არ გამოდგება ჯანსაღი,
ბალანსირებული კვების
ჩამანაცვლებლად.

სასურსათო დანამატები $\neq$



ადამიანების უმრავლესობას არც სჭირდება
სასურსათო დანამატები, თუკი ისინი ყველა საჭირო
ნივთიერებას საკვებით იღებენ.



თითოეული საკვები ნივთიერების
მხოლოდ გარკვეული ოდენობაა საჭირო
ორგანიზმის ფუნქციონირებისათვის და
გადამეტებული მოხმარება შეიძლება
უკეთესი სულაც არ იყოს. დიდი დოზებით,
ზოგიერთმა ნივთიერებამ შეიძლება
უკუჩვენებები და ჯანმრთელობის
დაზიანებაც კი გამოიწვიოს.

ჯანმრთელობის
საწინდარი ცხოვრების ჯანსაღი
წესი და ბალანსირებული,
უვნებელი საკვებია.

ასე ხომ,

ეჭიმათ
კონსულტაციის
გარეშე
მოვერიდოთ
სასურსათო
დანამატების
მიღებას.



ბუკლეთი მომზადდა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) მიერ ევროკავშირის „სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის“ (ENPARD - Georgia) მეოთხე ფაზის (ENPARD IV) ფარგლებში, ასევე, ორგანიზაციის „პური მსოფლიოს“ (გერმანია) მიერ დაფინანსებული პროექტის „გაზრდილი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა და მომხმარებელთა ცნობიერება“ მხარდაჭერით. პროექტს ახორციელებს კოალიცია, რომელშიც შედიან საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (წამყვანი პარტნიორი), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი და საქართველოს მთიანი რეგიონების ამბროლაურის რაიონის ფერმერ-მეფუტკრეთა ასოციაცია.

გამოყენებულია: აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის, აშშ-ის სურსათისა და წამლების ადმინისტრაციის, ევროკომისიის, ევროპის სურსათის უვნებლობის უწყების (EFSA) და ენციკლოპედია ბრიტანიკის ვებსაიტებზე გამოქვეყნებული ინფორმაცია.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG) და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამა

საქართველო, თბილისი, იოველ ჯებაშვილის I გასასვლელი #5, 0177

ტელ.: (32) 239-90-19, (32) 239-90-18

ელფოსტა: office@csrdg.ge

ვებსაიტი: www.csrdg.ge; www.momxmarebeli.ge

ფეისბუქგვერდი: www.facebook.com/momxmarebeli.ge

